



№ 08-155

1 აგვისტო, 2012 წ.

საქართველოს მთავარ პროკურორს  
ბატონ მურთაზ ზოდელავას

ბატონო მურთაზ,

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგს ახორციელებს, რისთვისაც პოლიტიკური პარტიების და სხვა პოლიტიკური ძალების ქმედებებს აკვირდება.

მოგახსენებთ, რომ 31 ივლისს კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით (წყარო: <http://ick.ge/ka/articles/11778-2012-07-31-19-49-23.html>) პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“ გურჯაანში ერთ-ერთ საარჩევნო ღონისძიებაზე ამომრჩეველს სუფ რით გა უმასპინძლდა. ასეთი ქმედება შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც ამომრჩეველის მოსყიდვა და საჭიროებს საფუძვლიან მოკვლევას.

საინფორმაციო ცენტრის მასალების თანახმად, პარტიის ლიდერები უარყოფენ ღონისძიების დაფინანსებას და აცხადებენ, რომ სუფრა (ღვინო, ხორცი, კიტრი, პომიდორი, პური) ამომრჩეველების თანხით გაიშალა და პარტიამ მხოლოდ ორგანიზება გაუწია, თუმცა იქ მყოფი ბევრი ადამიანი ამბობს, რომ თავად არაფერი გადაუხდია და პარტიამ დაპატიჟა. ვიდეომასალიდან ჩანს, რომ აღნიშნული ღონისძიება დამსწრეთა მხრიდან აღიქმება, როგორც „ქრისტიან-დემოკრატების“ მიერ გამასპინძლება.

სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საარჩევნო მიზნით, ნებისმიერი ქონების გადაცემა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით. შესაძლებელია, სახეზე იყოს სისხლის სამართლის დანაშაული. გასათვალისწინებელია, რომ


ქმედების განმახორციელებელი პირი წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული პოლიტიკური გაერთიანებაა, რის გამოც, საარჩევნო მიზნის არსებობა ეჭვგარეშეა.

მოგმართავთ შუამდგომლობით, გაითვალისწინოთ ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტი, შეისწავლოთ გარემოებები და მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

გთხოვთ, მიღებული გადაწყვეტილებისა და განხორციელებული ქმედების შესახებ ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსაც“ მიაწოდოთ.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

კეთილი სურვილებით,



ლევან ნატროშვილი

პროექტის მენეჯერი